საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM

ბრძანება

18.03.2019 წ. ქ. თბილისი № 51

TBILISI

სს „სსე“-სათვის ქსელის კაბელის, კონექტორების და RJ45-ის მოდულური შემაერთებლის გამარტივებული წესით შესყიდვის თაობაზე

მიმდინარე წლის 11 მარტს სს „სსე“-ს შესყიდვების დეპარტამენტში შემოვიდა SCADA-ს დეპარტამენტის უფროსის გიორგი არზიანის მოხსენებითი ბარათი #2628 ქსელის კაბელის, კონექტორების და RJ45-ის მოდულური შემაერთებლის შესყიდვის შესახებ. ელექტრული ქსელის მზარდი განვითარების გამო, რასაც თან სდევს სისტემაში ახალი ობიექტების ინტეგრაცია და შესაბამისად სიგნალების გაზრდილი რაოდენობა არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურით ვერ უზრუნველყოფს გაზრდილი სიდიდის დატვირთვაზე შეუფერხებელ მუშაობას, რაც იწვევს საკომუნიკაციო მოწყობილობებისა და აქსესუარების გადატვირთვას, რაც თავის მხრივ, ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ეფექტური დისპეტჩირებისთვის. ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების და SCADA-ს დეპარტამენტის გამართული და შეუფერხებელი საქმიანობისათვის საჭიროებას წარმოადგენს საკომუნიკაციო მოწყობილობების შესყიდვა.

წარმოდგენილი ინვოისის გათვალისწინებით საქონლის ღირებულება შეადგენს 485.50 (ოთხასოთხმოცდახუთი ლარი და 50 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. სს „სსე“-ს შესყიდვების ერთიანი წლიური გეგმით ზემოაღნიშნული პროდუქციის (CPV - 32550000) შეძენა ექვემდებარება ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვას, რაც დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (ხელშეკრულების გაფორმების ჩათვლით 20-25 დღე). ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის N15 ბრძანების შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ტენდერის გამოცხადებისათვის განსაზღვრულია მოსაკრებელი 25 დან 50 ლარამდე, ხოლო პრეტენდენტის მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს. აღნიშნულს ემატება სატენდერო წინადადების 1%-იანი საგარანტიო უზრუნველყოფა. წინამდებარე შესყიდვაზე გასაწევი ადმინისტრაციული და ფინანსური ხარჯების გათვალისწინებით ამ ეტაპზე ელექტრონული ტენდერის გამოცხადება არ არის მიზანშეწონილი.

ფინანსური სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით, ეგხ ალავერდის ასა-ს რელესათვის საჭირო კლემის ბლოკის შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3¹ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. ქსელის კაბელის, კონექტორების და RJ45-ის მოდულური შემაერთებლის შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის წესით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3¹ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახსრების რაციონალური ხარჯვის მეთოდით.
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესყიდვების დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვით დადგენილი წესის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმება.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მმართველთა საბჭოს წევრს დ. ვარდიაშვილს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით თვალაბეიშვილი
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/
რეაბილიტაციის მმართველი

JSC Georgian State Electrosystem
Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.03.18 10:38:11 +04'00'